მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №25

2019 წლის 21 მაისი

ქ. მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების განსაზღვრის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მაისის სხდომის №11 ოქმის მე-5 საკითხის შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „პ“ქვეპუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტიის“ და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2019 წლის 27 მარტის №01/1399 წერილით შემოსული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების საახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2019 წლის 18 მარტის №14 ოქმის ამონაწერის გათვალისწინებით

1. დამტკიცებულ იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ყულარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბუდიონოვკისათვის სახელის გადარქმევის და მისთვის სახელწოდება „მეწამულა“–ს სახელდება, მარნეულის მუნიცპალიტეტის ახკერპის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ულიანოვკისათვის სახელის გადარქმევის და მისთვის სახელწოდება „ვერხვიანის“ სახელდება.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიცპალიტეტის მერის მოადგილემ ლაშა ლობჯანიძემ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან–საბა ორბელიანის ქუჩა №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი ქმედების განხორციელება განკარგულების პირველი პუნქტის აღსასრულებლად.

5. განკარგულება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიორგაძე.